საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030197048642819

№ 01-267/მ **04 / ივნისი / 2019 წ.**

თ ა მ ა რ ბ ა ს ი ლ ი ა ს ა დ ა თ ე ო ნ ა ვ ა რ ძ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ინდოეთში, ქ. განდინაგარში ინდოეთის მთავრობის ფარმაცევტული წარმოების ექსპორტის ხელშეწყობის საბჭოს ორგანიზებით დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაზე (ჯანდაცვისა და ფარმაკოლოგიის დარგი - „iPHEX 2019“) დასწრების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 8 ივნისიდან 2019 წლის 13 ივნისის ჩათვლით ინდოეთში, ქ. განდინაგარში მივლინებულ იქნენ ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე - **თამარ ბასილია** და ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **თეონა ვარძელაშვილი.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა;

ბ) აანაზღაუროს თეონა ვარძელაშვილის ინდოეთის ელექტრონული ვიზის სავიზო მოსაკრებელი (80 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში).

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 3 ივნისის №01-5488 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად დავით სერგეენკო